www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

2023 წლის იანვარი - სექტემბერი

30.10.2023
www.geostat.ge

30.10.2023

ინფორმაცია მშენებლობაზე[1] გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ 2023 წლის იანვარ-სექტემბერში

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2023 წლის იანვარ-სექტემბერში გაცემულია 8 169 ნებართვა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.1 პროცენტით მეტი) 6 363.1 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.0 პროცენტით მეტი). ნებართვების 73.5 პროცენტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 48.6 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 9.4 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 8.9 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე და 6.6 პროცენტი - იმერეთის რეგიონზე.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2023 წლის იანვარი - სექტემბერი



აღსანიშნავია, რომ 2023 წლის იანვარ-სექტემბერში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე.

[1] იგულისხმება როგორც ახალი მშენებლობა, აგრეთვე რეკონსტრუქცია

30.10.2023

2023 წლის იანვარ-სექტემბერში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 2 153.4 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.3 პროცენტით მეტი) 2 235 ობიექტი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.3 პროცენტით მეტი).

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, 32.4 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 13.4 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 12.0 პროცენტი - კახეთის რეგიონზე და 8.7 პროცენტი - იმერეთის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2023 წლის იანვარი-სექტემბერი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge